თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1794381

ნომერი: AR1294963

თარიღი : 18.03.2015

გაცემის თარიღი : 23.03.2015

გაცნობის თარიღი : 23.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 18/03/2015წ. AR1294963 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას ამავე სამსახურის 05.12.2014წ. №1628139 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

პასუხად გაცნობებთ, რომ წინამდებარე განაცხადი თქვენ მიერ არასწორად იქნა დარეგისტრირებული გრაფაში „სამართლებრივი საკითხები – ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში“, ვინაიდან, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში მოთხოვნილი შესწორებების შეტანა გულისხმობს ცვლილებას ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
წინამდებარე განაცხადის საფუძველზე, მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა, რის შემდეგაც, სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „სამართლებრივი საკითხების” არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ – „ცვლილება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში“.
ამასთან, გაცნობებთ, რომ საკითხის განხილვისათვის, საჭიროა, ასევე, წარმოადგინოთ საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი, კროკების დატანით.
სწორი ნომენკლატურის არჩევისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, სამსახური იმსჯელებს განაცხადში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიღებულ გადაწყვეტილებას გაცნობებთ ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.